

## სათავგადასავლო ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში



დალაქიშვილი თამარ

გაბელია ნინო

სუხიაშვილი თეონა

კაპანაძე გიორგი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

## განაცხადი

*“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

სახელი გვარი: დალაქიშვილი თამარ

გაბელია ნინო

სუხიაშვილი თეონა

კაპანაძე გიორგი.

17.06.2018

## აბსტრაქტი

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს საქართველოში. პირველ რიგში ყურადღება გვინდა გავამახვილო თემის აქტუალობაზე, რადგან ტურიზმის სფერო დღეს დღეობით ერთ-ერთ მოწინავე სექტორად ითვლება საქართველოს ეკონომიკისთვის და შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნისთვის ამ სფეროს განვითარებას. სათავგადასავლო ტურიზმი კი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ტურიზმის სახეობაა, რომლის განვითარების შედეგადაც მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუჯობესება.

სამაგისტრო ნაშრომში ვისაუბრებთ თანამედროვე ტექნოლოგიების როლზე სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებაში, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. რა გავლენა შეიძლება იქონიოს ტექნოლოგიების გამოყენებამ ტურიზმის განვითარებაში. ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად დასტურდება, რომ საქართველოში განვითარებულია სათავგადასავლო ტურიზმის შემდეგი სახეობები: ჰაიკინგი, პარაპლანით ფრენა, სამთო-სათხილამურო და ჯომარდი. თუმცა ჩვენს ქვეყანას ყველა რესურსი გააჩნია ექსტრემალური ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებისთვის. შესაბამისად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება, ტურისტული ადგილების პოპულიზაცია, გზების, ინფრასტრუქტურის მოწყობა, უსაფრთხოების ნორმების მკაცრად დაცვა, ტურიზმის სფეროში მომუშავე ხალხის გადამზადება და ასე შემდეგ. ასევე ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგად დასტურდება ის ფაქტი, რომ სათავგადასავლო ტურიზმი დღეს-დღეობით განვითარების ეტაპზეა და ყველა ობიექტი თუ ორგანიზაცია თავის მხრივ ცხილობს ხელი შეუწყოს ამ განვითარების უწყვეტ პროცესს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტურიზმი, ქვეყნის განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიები.

## **Abstract**

Our master's work is about perspectives of adventure tourism development in Georgia.

First of all we would like to focus on the importance of the topic, as the tourism sphere today is one of the leading sectors for the economy of Georgia and it's great importance to the development of this sphere for the country.

Adventure tourism is one of the most demanded tourism types, which will improve the quality of life of the local population.

In master's work we will talk about the role of modern technologies in the development of adventure tourism, its positive and negative sides. What impact can the use of technologies in tourism development.

Our research has confirmed that the following types of adventure tourism are developed in Georgia: hiking, paraplane flight, mountain skiing and rafting. However, our country has all the resources for the development of other types of extreme tourism. According the state tourist sector needs more attention, populations of tourist places, arrangement of roads, infrastructure, strict security norms, retraining people working in tourism and so on.

Also, as a result of research in the research, it is confirmed that adventure tourism is in the development stage today and all the objects if the organization is in turn to support the continuous process of development.

Key words: Tourism, development of the country, modern technologies